ქ. თბილისი. წინამძღვრიშვილის 160

არსებული შენობის ფასადზე ლითონის

კარკასის მოწყობის კონსტრუქციული

პროექტის ექსპერტიზა

ჩემს მიერ (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ა. მჭედლიშვილი) შემოწმებული იქნა მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია 10 (ათ) ფურცელზე.

არსებული შენობა აშენებულია ბასული საუკინის 50-იან წლებში, იგი 7 სართულიანია და გააჩნია სარდაფი. მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს კერამიკული აგურის კაპიტალური კედლები. სართულშუა გადახურვა მოწყობილია რ/ბის მონოლითური ფილით და გააჩნია რ/ბის ანტი სეისმური მონოლითური სარტყელები. საძირკვლები წარმოადგენს რ/ბის მონოლითურ ლენტას.

შენობას არ გააჩნია ჯდომითი და სეისმური დეფორმაციები და არის კარგ მდგომარეობაში

პროექტის არქიტექტურა ითვალისწინებს შენობის მთლიან ფასადზე კნაუფის საფასადე მასალით (აკუაპანელი) შემოსვას, რაც უნდა განხორციელდეს არსებული კედლიდან 70-90 სმ-ს დაშორებით, სართულების გადახურვის დონეზე კი ეწყობა მსხვილი მავთულის ბადით იატაკები, რომელთა დანიშნულებაც არის გარედან კონდენციონერების მომსახურებაზე სავალი ნაწილის შექმნა.

კონსტრუქციულ ნაწილში დამუშავებულია ლითონის მზიდი კარკასი, რომელიც ეყრდნობა რ/ბის მონ. საძირკვლის ლენტას. თვით კარკასი შეკიდულია ფასადის კედელზე. სართულშუა გადახურვების დონეზე შენობას გააჩნია რ/ბის მონ. სარტყელი, რომელშიც უნდა განხორციელდეს ლითონის კარკასის ანკერების საშუალებით ჩაბმა. რაც შეეხება ლითონის კარკასის სეისმომედეგობას, იგი უზრუნველყოფილია კაპიტალური კედლის სიახლოვითა და ლითონის კარკასზე მოწყობილი დიაგონალური გამბრჯენებით.

ლითონის კარკასი დამუშავებულია დეტალურად, აკმაყოფილებს დანიშნულებას და შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია განხორციელებისათვის, ყოველივე ზევიდან გამომდინარე ვასკვნი

<u>დასკვნა</u>

ლითონის კარკასი დამუშავებულია დეტალურად, ექსპერტიზას შენიშვნა არ გააჩნია, იგი აკმაყოფილებს მოთხოვნას და რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის

კონსტრუქტორი

ა. მჭედლიშვილი

საქართველო, თბილისი, 2016 წ.